# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 26 ხუთშაბათი, 4 თებერვალი 1910 წ. № 26

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახერა, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან შუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „Дроэба".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი—შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის მოწაფენი მდუღარე ცრემლებს ღვრიან ცხოვრების ასპარეზიდან უეცრად მოწყვეტილის ძვირფას და დაუვიწყარ მასწავლებელ-აღმზრდელის

მელიტონ იესეს ძის ჩიგოგამის

ცხედარზე და აუწყებენ ყველას თავიანთ უსაზღვრო მწუხარებას.

მოულოდნელ მწუხარებით თავზარდაცემული ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა კორპორაცია აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას უდროოდ გარდაცვალებას თავის დაუვიწყარ და უძვირფასეს ამხანაგის ამა სასწავლებლის ინსპექტორის

მელიტონ იესეს ძის ჩიგოგამისას

პანაშვიდი ყოველდღე 12 და 6 საათზე, პეტრე-პავლეს ქუჩა, სახლი კიკნაძისა. გამოსვენება ცხედრისა საეპარქიო სასწავლებლის ეკლესიიდან კვირას, 7 თებერვალს, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ სოფელ ბანოჯაში. (3—კვ.—1)

წარმოდგენა № 33. ქართული თეატრი წარმოდგენა № 33.

კვირას, 7 თებერვალს 1910 წელს

ბენეფისი მარო მდივანისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ ქ-ნ ვ. რონელის, ნ. გამყრელიძისა, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

I.

პირველად შელომ აშის პიესა

„შურის-ძიების ღმერთი"

დრამა 3 მოქმედებად თარგ. გრ. აბაკელიასი.

II.

ივ. გომართელის ახალი პიესა.

დრამატიული გამგეობის ღევრი

კომ.-ვოდ. 2 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.
მზადდება წარმოს. „ძია ვანო", „ნამუსისათვის", „დანაშაული და სასჯელი".
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.
დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების

„კახეთის"

გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ 18 თებერვალს 1910 წ. დანიშნულია ქ. თელავში მეორე წლიური საზოგად. კრება, რომელმაც უნდა განიხილოს:

1. 1908—1909 წლის ანგარიში.
2. 1909—1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მოქმედების გეგმა.
3. მოხსენება საქმის გამგებლობის ცვლილების შესახებ.
4. განხილვა გამგეთათვის სახელმძღვანელოდ შედგენილ ინსტრუქციისა,
5. განხილვა სესხის აღების პირობებისა,
6. გამგეობის ერთი წევრის და სარევიზიო კომისიის სამი წევრის არჩევა.
7. მორიგი საქმეები. (3—6—1)

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი

ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (30—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—100)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—262)

ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ხ. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიჭრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—98)

ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5½—6½ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროტერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—23)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—50

ექიმი მ. დ. ბეთანოვი ქუთაისში, მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—8)

ექიმი შ. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—16)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—13)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გმბუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—4

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—358)

ექიმი ვ. მაზაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—87)

ექიმი ა ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.
ბინა: აგჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—7)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—91)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—107)


## დღიური

### ცრუობენ თუ ბრიყვობენ?

გმირს საგმირო საქმე გამოაჩენსო, ნათქვამია და მართლაც ადამიანის გულის საუნჯე მაშინ გამოცხადდება, როცა ამას საქმე მოითხოვს, სული ძლიერი მიყუჩებულია, სანამ დრო არ მოუწოდებს, გამბედაობა, თავგანწირულება, სიმხნევე, შორსმჭვრეტელობა, ნიჭი—ყველაფერი ეს მოითხოვს შესაფერ გარემოებას თავის გამოსაჩენად.

მაგრამ არა ნაკლებ მართალია ისიც, რომ ლაჩარი გაჭირებაში აშკარავდება, უგულო და გლახა განსაცდელში და მონა, სული დაცემული რაიმე პოლიტიკურ ცვლილების დროს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი ჩვეულებრივ უბრალო მდგომარეობაში არ გამოაჩენდეს თავის თავს. არა, მონა ყოველთვის მონაა და ძილის დროსაც კი მის სახეზე არა არის რა ალბეჭდილი, გარდა სიყალბისა, მლიქვნელობისა და ორპირობისა, და სიზმარშიც კი ბატონის ხელს ხედავს, რომელსაც მუხლმოდრეკილი ემთხვევა.

ხოლო როცა ირღვევა ჩვეულებრივი მიმდინარეობა და მოხდება რამდენადმე შესამჩნევი ცვლილება, რომელიც გაძლიერებულს პასუხს მოითხოვს ადამიანისაგან, მაშინ უფრო ნათელია მისი ბუნება; ყოველი პიროვნება მთლიანად წარმოგვიდგება მაშინ—მგლები ღმუიან მგლურად, ცხვრები თავჩაღუნულნი დგანან გალესილ დანის მოლოდინში და ფინია ფეხებს ულოკავს ბატონს ნასუფრალის წყალობისათვის.

ყოველსავე ამას ცხადად იგრძნობდა შეგნებული მკითხველი, რომელიც უბედურის შემთხვევით ან მოვალეობისა გამო წაიკითხავდა ამ დღეებში აგრე წოდებულს რუსულ ასოებით დაბეჭდილ ქართულს გაზეთებს... იმ გაზეთებს, რომლებიც ვითომდა მაღალს პოლიტიკას აწარმოებენ ჩვენში.

დანიშნეს საქართველოს ახალი ექსარხოსი. ამ ჩვეულებრივმა ამბავმა საყურადღებო მოვლენის მნიშვნელობა მიიღო მას შემდეგ, რაც ისეთი ბრძოლა გაიმართა სფერებში საექსარხოსოს არსებობის თუ გაუქმების შესახებ.

ეკლესიის საკითხი ჩვენში მეტად მარტივია დამისი გადასაწყვეტად ერთად ერთი გზაა, თუ, რასაკვირველია, საეკლესიო საქმეში არ გავრევთ პოლიტიკას, რომელსაც ეკლესია თავის იარაღად უნდა გადააქციოს. ეკლესია რწმენის, სინიდისის საქმეა, მაშასადამე, ეკლესია შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ და მხოლოდ როგორც თავისუფალი დაწესებულება, ვინაიდან სადაც ძალადობაა, იქ სინდისს ადგილი აღარა აქვს: თუ მე რისმე უნებურად, ძალდატანებით ვაკეთებ, ამ შემთხვევაში სინდისზე ლაპარაკი სულ მეტია.

აქედან წარმოსდგება მეორე აუცილებელი დასკვნა: ყოველი ორგანიზაცია ეკლესიისა უნდა იყოს ეროვნული, რადგან ეროვნული პირობები, ეროვნული წრე, კულტურა, ენა, ისტორია უზრუნველჰყოფს თავისუფალს აზრს და მოქმედებას ეკლესიაში. საეკლესიო მოღვაწეობის ასპარეზი იდეურია, სულიერია და ეროვნება ჰქმნის იმ თანხმობას, ნათესაობას, თვისტომობას, რომლის ფარგალში შესაძლებელია ძალდაუტანებელი, შეთანხმებული კავშირი, კავშირი სულიერ მუშაობისა.

ქართველმა ერმა მრავალ საუკუნის განმავლობაში შეჰქმნა თავისებური ეროვნული დამოუკიდებელი ეკლესია, ეკლესია თანასწორუფლებიანი, მიღებული და აღიარებული ყველა მოძმე ეკლესიის მიერ და დღეს ქართველი ერის ამ ეკლესიიდან გამოდევნა ყოვლად შეუძლებელია, ან თუ გნებავთ, შესაძლებელია ერთის პირობით: თუ სრულიად უარჰყოფთ ერის სინდისს და ფეხით გასრესავთ...

ვამბობ: მარტივია და დღესავით ნათელი საქართველოს ეკლესიის საკითხი და გაზეთს, რომელსაც უკისრნია საზოგადოებრივ აზრის გამოხატვა, არ შეუძლია სხვანაირად შეხედოს საგანს. ამის ნაცვლად ჩვენმა მაღალმა პოლიტიკოსებმა, რუსული ასოებით დაბეჭდილმა გაზეთებმა ისეთი აბდაუბდა და საზიზღარი წერილები დასტამბეს, რომლებიც ერთნაირად გააწითლებს როგორც თანამოაზრეს, ისე მოპირდაპირეს. ამ გაზეთებმა სხვა ვერა ნახეს რა სათქმელად იმის მეტი, რომ ლაქუცი დაუწყეს შავრაზმელებს, „კავშირის" წევრებს, გააბეს ხმამაღალი ბაასი მათთან საერთო ნიადაგის შესახებ და დაუდვეს ფიცი ერთგულებისა და სიყვარულისა.

ადგილობრივმა რუსულმა პატრიოტულმა გაზეთმა, უეჭველია, კარგად იცის, ვინცა ბრძანდებიან ჩვენი პოლიტიკოსები და მან კიდევ ადრე გამოჰკიდა დროშა სიყვარულისა: ჩვენ მუდამ თქვენი ერთგული ძმები ვიყავით და ვიქნებით, ხოლო ერთის პირობით კიდ...

მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები აღარ ისმენენ ამ პირობას და მზად არიან გადასახვევნად, ერთი ნაბიჯი უკვე გადასდგეს.

მობრძანდით, ბატონებო, რიღასი გერიდებათ?!

სიტყვა.

## ჟურნალისტების მოსყიდვა

ვბეჭდავთ იმ დოკუმენტებს, რომელიც მირზოევ-ყიფიან-ნაგურსკის საქმეს შეეხება.

ხელშეკრულება „კურიერის" ამხანაგობის დაარსების შესახებ:

„ჩვენ, ქვემორე ხელის-მომწერლებმა, ვლადიმერ ვასილის ძე ნაგურსკიმ, ლევან დავითის ძე ყიფიანმა და სერგო ზურაბის ძე მირზოევმა დავაარსეთ ამხანაგობა „კურიერი" შემდეგ საფუძველზე: 1. ამხანაგობის მიზანია გარკვევა სავაჭრო-სამრეწველო საკითხებისა ადგილობრივ, სატახტო ქალაქებისა და საზღვარ-გარეთის გაზეთებში; სამრეწველო წარმოებათა წესიერ ნიადაგზე დაყენება ადგილობრივ (ტფილისის) და მთელი მხრის ინტერესების მიხედვით: 2. ამ მიზნის მისაღწევად ამხანაგობას აქვს თავისი ორგანო და ამას გარდა ათავსებს წერილებს სხვა და სხვა გაზეთებში—როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქებისა და საზღვარ-გარეთისაში; 3. თავის ორგანოს გამოსაცემად და თანამშრომლების დასახმარებლად ამხანაგობა ურიგდება ამა თუ იმ დარგის მწარმოებლებს, ამასთან ამ მორიგების დროს განსაკუთრებული პირობა უნდა იქმნას დადებული, რომ დახმარების მომცემ მწარმოებლის ინტერესების დაცვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმისი ინტერესები სავსებით ეთანხმებიან ადგილობრივს და ქვეყნის ინტერესებს, აგრეთვე ამხანაგობის თანა-წევრთა რწმენასა და შეხედულებებს. გარდა ამისა, თუ მწარმოებელი თავის მოქმედების დროს ადგილობრივსა და ქვეყნის ინტერესებს მხარს აუქცევს, ამხანაგობას უფლება აქვს პოზიცია გამოიცვალოს—დამცველთა მაგიერ ბრალმდებლის ადგილი დაიჭიროს; 4. ეს შეთანხმება შეიძლება უვადოდ განმარტებული იყოს ცალკე ოქმებით, რომელზედაც ხელი ეწერება სამსავე პირს; 5. ყველა საკითხის შესახებ სდგება ოქმები, ამასთან ხმების გაყოფის დროს ორის აზრი იმარჯვებს და მესამე მოვალეა აუცილებლად დაემორჩილოს, თუმცა წინააღმდეგობად არ ჩაეთვლება, თუ თავის საკუთარს აზრს ოქმში შეიტანს. ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულია სერგო ზურაბის ძე მირზოევი.

10 ივნისს 1909 წ., ქ. ტფილისი.

ვლადიმერ ვასილის ძე ნაგურსკი, ლევან დავითის ძე ყიფიანი, სერგო ზურაბის ძე მირზოევი.

### ვექილობა.

ამხანაგობა „კურიერი"-ს თავმჯდომარეს ბ-ნს ს. ზ. მირზოევს.

მოწყალეო ბატონო!

თანახმად ჩვენის ამხანაგობის დადგენილებისა, უფლებას გაძლევთ მოელაპარაკოთ და მოურიგდეთ კავკასიის ამა თუ იმ სავაჭრო—სამრეწველო დარგების მწარმოებელთ. პირობის შეკვრა და მოლაპარაკება უნდა მოხდეს თანახმად ჩვენის ამხანაგობის ხელშეკრულობისა, ხოლო დანარჩენში შეგიძლიანთ მოიქცეთ თქვენის პირადის შეხედულობით. ვალდებულობას მიიღებთ ან ამხანაგობის სხდომაზე ან ამხანაგობის სამი დამფუძნებლის სახელზე.

20 ივლისი 1909 წ. ქ. ტფილისი.

ამხანაგობის წევრნი { ვლ. ვას. ნაგურსკი, ლევ. დ. ყიფიანი.

### მოსყიდულ გაზეთის თანამშრომელნი.

როგორც „ეშენედელნოე ობოზრენიეს" ოფიციალური რედაქტორი, მოვალედ ვთვლი თავს გამოვაცხადო, რომ გაზეთის არც ერთ თანამშრომელს, გარდა ლევან ყიფიანისა, ვლადიმერ ნაგურსკისა, ნიკოლოზ ნესტეროვის, ალექსანდრე სალარიძისა და ჩემი, ჭორხორაი არ მიუღია თავის შრომასა და წერილებში.

ჰუსეინ მინასაზოვი.

### დირექტორის ბატაილის წერილი.

დიდად პატივცემულო, სერგეი ზურაბის ძევ! თქვენი წერილი ამა 29 იანვრის თარიღით მოწერილი მივიღე. მეტად ვწუხვარ, რომ სრულიად კერძო ხასიათის ჩემ კლუბში საუბარი ასე გამჟღავნდა და ზიანი მოგაყენათ. საქმე იმაშია, რომ ბრიუსელიდან მიღებულ პირობის პროექტს საბოლოოდ გათავებულად ვთვლიდი და ვფიქრობდი, რომ ბრიუსელიდანვე მივიღებდი განკარგულებას ამხანაგობა „კურიერი"-სათვის ფულის მიცემის შესახებ. მაგრამ მოვსტყუვდი, რადგან ეს პროექტი წინასწარი გამოდგა და საქმეც ჩაიშალა იმის გამო, რომ თქვენმა ამხანაგებმა უარი სთქვეს პროექტის მიღებაზე. ამ რიგად აშკარაა, რომ თქვენ არაფრით არა ხართ შეკრული ჩვენ საზოგადოებასთან და ამიტომ

უფლებაც გაქვთ თავისუფლად იმოქმედოთ. ეხლა ეს გუშინვე გადავეცი საბჭოს წევრს ნ. გ. არგუთინსკი-დოლგორუკოვს და ისიც დაუმატე, რომ ამხანაგობის „კურიერი“-ს შესახები საბუთის ქაღალდები თქვენ უკანვე დაგიბრუნეთ და მე ფული არ მიმიცია „კურიერი“-სათვის.

პატივისცემით **ბატაილ.**

## ქალაქის საბჭოში.

1 თებერვალს ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომამ მრავალი ხალხი მიიზიდა. ტევა აღარ იყო. ხმოსნებიც ბლომად დაესწრნენ. მიზეზი ის იყო, რომ ამ სალამოს საბჭოს უნდა მოესმინა მოხსენება ხმ. სერ. ზურ. მირზოევის შესახებ. სხდომის გახსნამდე ხმოსნებს კერძო თათბირი ჰქონდათ ხმ. მირზოევის განცხადების შესახებ (ხმოსნობიდან გასვლაზე).

თავმჯდომარემ საბჭოს პირველად რამდენიმე წვრილმანი საქმე წარუდგინა და შემდეგ აცნობა განცხადება ხმ. მირზოევისა ხმოსნის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. თავმჯდომარემ დაწვრილებით აღნიშნა მიზეზები ასეთ შედეგისა. ბ-ნმა ხატისოვმა დაწვრილებით აცნობა საბჭოს საქმის ვითარება, რაც უკვე გვქონდა დაბეჭდილი. ბ-ნ ხატისოვმა ისიც დაუმატა, რომ 1 თებერვალს გამგეობამ დაიბარა ბ-ნი ბატაილი და გამოჰკითხა ამ საქმის შესახებაო. ბატაილს დაუმოწმებია, რომ ხელ-შეკრულება მართლაც არსებობს უსახელო საზოგადოებისა და აღნიშნულ პირთა შორის. მეორე ხელ-შეკრულებაზე ხელი უწერიათ ბრიუსელში საზოგადოების უმთავრეს სამართველოს ორს დირექტორს, შპენგერსა და მაზურსკის. ბატაილს ისიც განუცხადებია, რომ ფული არ მიგვიცია ჯერ ამხანაგობისათვის, თუმცა ვადა ფულის მიცემისა უკვე დადგაო და მან 4 თვის ჰონორარი უკვე მოამზადე მირზოევისთვის გადასაცემადაო.

მირზოევს ავადმყოფობისა გამო სხვის პირით შეუთვლია გამგეობისთვის, ნება მიეცეს მოხსენება წარუდგინოს საბჭოს და თავი გაიმართლოს. გამგეობას შეუწყნარებია ეს.

საბჭოში ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა: მოუცადონ მირზოევის მოხსენებას და შემდეგ იქონიონ მსჯელობა იმის თანამდებობიდან გადადგომის განცხადების შესახებ თუ განცხადება ეხლავე იქნას მიღებული. ხმ. ტიგრანოვი, ივ. ს. ჯაბადარი, პ. მ. დოლუხანოვი და ზოგი სხვა იმ აზრისა იყვნენ, რომ მირზოევს შეძლება უნდა მიეცეს თავის გამართლებისაო. ხმ. ხუნუნცი წინააღუდგა ამას, მან სთქვა: უკვე გამოირკვა ყველაფერი, ფაქტი ხელთა გვაქვს, რომ მირზოევმა არა საკადრისი საქციელი ჩაიდინა და არ მესმის რაღა მოხსენებაა აქ საჭიროო. ჩვენ განცხადება ხმოსნობიდან გადადგომისა უნდა მივიღოთ და ამით დასრულდება საქმე, რადგან არც უფლება გვაქვს ხმოსნის მოქმედების შესახებ ჩვენ რაიმე სხვ რეზოლიუცია მივიღოთო. თავმჯდომარემ გამგეობის მხრით ილაპარაკა. იგი ამტკიცებდა საჭიროებას განცხადების მიღებისას. მირზოევს თავის გამართლების უფლება უნდა მიეცესო. ხმოსანი რუდაკოვი შეეხვეწა საბჭოს, არ მიეღო განცხადება ხმოსნობიდან გადადგომისა, რადგან ამის შემდეგ საბჭოში ველარ გამოცხადდება ს. ზ. მირზოევი და ველარ ილაპარაკოს თავის გასამართლებლადაო.

კამათმა ათ საათამდე გასტანა. საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა, მიიღოს განცხადება მირზოევისა სამსახურიდან გადადგომის შესახებ და ნება დართოს მას, 8 თებერვლამდე წარუდგინოს გამგეობას თავის გასამართლებელი მოხსენება.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი.** კახეთის რკინის გზის მიმართულების დაწვრილებითი საბოლოვო გამოკვლევა ამ დღეებში დამთავრდება. პეტერბურგში არსებულ დროებით კანტორაში, სხვათა შორის, მუშაობს ინჟინერი ჯორჯაძე.

კირიონ ეპისკოპოსზე პეტერბურგის გაზეთებში დასტამბულმა წერილებმა სინოდის წევრთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კირიონის დღევანდელ მდგომარეობით და მომავალით აქაურ საზოგადოების ყველა წრეები დაინტერებულნი არიან. ზოგიერთი წევრები სინოდისა სადარბაზოთ იყო მასთან.

არქიმანდრიტი ამბროსი დანიშნეს ნოვგოროდის გუბერნიაში, სტარაია რუსის მონასტრის წინამძღვრად. საქართველოში წასვლის ნება (ცოტა ხნით) არ მისცეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ადგილობრივ რუსულ გაზეთების თანამშრომელნი ისევე ვარჯიშობენ მუშტი-კრივში, როგორც წერილების წერაში. სწორედ სენად გადაექცათ ამ ჟურნალისტებს საზოგადოებრივ დაწესებულებებში მუშტით ანგარიშების გასწორება. სამწუხარო და სავალალო მოვლენაა. ერთ მხარეს გაზეთისა და ჟურნალისტების მოსყიდვა, მეორე მხარეს—სიხარულით აღფრთოვანება ამ მოვლენის გამო, მესამე მხარეს—მუშტი და კრივი...

ამ სამწუხარო მოვლენებს ჩვენ ხვალ დაუბრუნდებით, ეხლა-კი არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ერთი ადგილი ბ-ნ გრიგოლ დიასამიძის წერილიდან („ზაკავკაზიე“, № 26).

როცა „ნოვაია რეჩში“ დაიბეჭდა „ეჟენ. ობოზ.“-ს თანამშრომელთა სია, თანამშრომელთა ერთ ჯგუფს, როგორც ბ-ნი დიასამიძე გადმოგვცემს, კაცი გაუგზავნია ბ-ნ გოთუასთან და მოუთხოვნია გაზეთით ბოდიშის მოხდა. ბ-ნმა გოთუამ პირდაპირი და გადაჭრილი პასუხი არ მისცა და ბოდიში არ მოიხადაო, სწერს ბ-ნი დიასამიძე და დასძენს:

ღრმად აღშფოთებულმა პართენ გოთუას საქციელით, თავი ვერ შევიკავე და შეურაცხყოფა მივაყენე.

ვინაიდან საჭირო იყო, ბოდიში მოვიხადე უსიამოვნების მიყენებისთვის.

ბ-ნ გოთუასა და იმის არა საკადრის საქციელზე კი ლაპარაკი შემდეგ გვექნება. ჩვენი გაზეთის მახლობელ ნომერში მე ცალკე წერილს ვუძღვნი იმის მოქმედებას.

თუ საჭიროა ჩვენი ჟურნალისტების ატმოსფერის გაწმენდა, უნდა გაიწმინდოს იგი საფუძვლიანად. შეიძლება ამ შემთხვევაშიაც გამართლდეს ანდაზა: „нѣтъ худа безъ добра“.

ნუ თუ ბ-ნი დიასამიძე ვერა ჰგრძნობს იმ საქციელის შეუფერებლობას, რომელიც მან ჩაიდინა?!

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

2-3 თებერვალი.

### საზღვარ-გარედ.

**ბუდაპეშტი.** მთავრობის პარტიის საორგანიზაციო კომიტეტმა მოწოდება გამოაქვეყნა. მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: ავსტრო-ჰუნგრეთის 1867 წლის შეთანხმების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის პარტიული განსხვავება უშინაარსო გახდა, რადგან დამოუკიდებელთა პარტიამ, შეთანხმების მოწინააღმდეგემ, პარლამენტის უმრავლესობა ხელში ჩაიგდო და ამიტომ იძულებულია ავსტრო-ჰუნგრეთის დუალიზმი აღიაროსო. მთავრობის პარტიის საორგანიზაციო კომიტეტი წინადადებას იძლევა, ახალი პარტია შევადგინოთ, რომლის მიზანიც იქნება დაუახლოვოს ერთმანეთს მეფე და ხალხი და ნაყოფიერ მუშაობას შეუდგესო. მოწოდებაზედ ხელი უწერიათ მინისტრებს და კონსტიტუციონურ პარტიის მეთაურებს.

**სტამბოლი.** ნავთსადგურებიდან დეპეშით იტყობინებიან: კონვეინის შეიხმა არაბეთში ადგილობრივი მკვიდრნი ოსმალების წინააღმდეგ აამხედრა. შეიხს შეუერთდა სპარსეთით ყურეს ნაპირებზედ მცხოვრებთ ადგილობრივ მკვიდრთა რამდენიმე თემიო.

**სიუდადელა** (კუნძული მინორკა). საფრანგეთის ნაღმოსნებმა ზღვაში 40 კაცის გვამი იპოვეს. ყველა ესენი გემ „გენერალ შანზის“ დაღუპვის დროს დამხრჩალან.

**სან-დიეგო.** ამერიკის ნაღმოსან „გოპკინსზედ“ აფეთქება მოხდა. დაიჭრა 7 კაცი.

**ათინა.** დაიწყო დეპუტატთა პალატის განსაკუთრებული სხდომები.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ალლაგაბადიდან დეპეშით ატყობინებენ: ბასტარის ვასალურ სახელმწიფოში ადგილობრივი მკვიდრნი აღელდნენ. სულ ერთიანად აიკლეს ბაზარი, ფოსტის და სხვა დაწესებულებები. მძიმედ დასჭრეს მთავრობის კომისსარი. არეულობის ჩასაქრობად გაიგზავნა 120 პოლიციელი.

**ვენა.** რეიხსტაგის სხდომები 11 თებერვალს დაიწყება.

**ლონდონი.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მინისტრებად დანიშნულნი არიან: შინაგან საქმეთა—ჩერჩილი, ვაჭრობა-მრეწველობის—ბუქსტონი, ფოსტა-ტელეგრაფისა—გერბერტი, ლანკასტერის საერცოგოს კანცლერად—პიზა, პარლამენტის მდივნად მისტერ ოფილებენი.

**სტამბოლი.** კრიტის მფარველ-სახელმწიფოების ელჩებმა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს შეატყობინეს შინაარსი იმ ნოტისა, რომელიც მფარველმა სახელმწიფოებმა კრიტის აღმასრულებელ კომიტეტს გაუგზავნეს და რომლითაც კრიტეს აუკრძალეს საბერძნეთის ეროვნულ კრებაში მონაწილეობის მიღება. ამასთან ელჩებმა გარეშე საქმეთა მინისტრი დაარწმუნეს, რომ თუ კრიტელები მაინც თავისას არ დაიშლიან და მოინდომებენ საბერძნეთის ეროვნულ კრებაში მონაწილეობის მიღებას, მფარველი სახელმწიფოები შესაფერ ზომებს მიიღებენ, რომ ეს განზრახვა კრიტელებმა სისრულეში არ მოიყვანონო. ამ გარემოებამ ოსმალეთის მთავრობაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

დეპუტატთა პალატამ უკამათოდ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც ათი წლის განმავლობაში ხუთ-ხუთი მილიონი გირვანქა უნდა გადაიდოს ფლოტის გასაძლიერებლად.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატებმა გარეშე საქმეთა მინისტრის სახელზე შეკითხვა შეიტანეს, ტრიპოლისში იტალიის ქვეშევრდომების ინტერესებს იცავთ თუ არაო. გარეშე საქმეთა მინისტრმა შეკითხვის ავტორებს უპასუხა: ოსმალეთის ჩრდილოეთ აფრიკის ახალშენები იტალიისათვის დიდ ინტერესებს წარმოადგენენ. იტალია ყოველთვის სცდილობდა, რომ ხმელთაშუა ზღვაზედ რომელიმე სახელმწიფო სხვებზე მეტად არ გაძლიერებულიყო, ამიტომ იტალია ყოველთვის სცდილობდა დაეცვა ოსმალეთის ახალშენების ხელ-შეუხებლობა. ამ ხელშეუხებლობას, სხვათა შორის, ოსმალეთის ახალი რეჟიმიც მედგრად იცავს. განახლებული ოსმალეთი ვერ მოითმენს, რომ მის ახალშენებს ვინმე შეეხოსო.

**ტოკიო.** პორტ-არტურში სასამართლომ გაარჩია თავად იტოს მკვლელისა და მისი ამხანაგების საქმე. სასამართლომ იტოს მკვლელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მის ამხანაგებს სხვა და სხვა ვადით კატორგა.

**ბერლინი.** „დეიტჩე კაბელ გრამმგეზელშაფტს“ კანტონიდან დეპეშით ატყობინებენ: მეამბოხეებმა სულ ერთიანად გაანადგურეს ყაზარმებისთვის დამზადებული მასალა და დახოცეს ცხენები. ჯარმა მეამბოხეებს ზარბაზნები დაუშინა. მეამბოხეები გაიქცნენ. მოჰკლეს 300 მეამბოხე.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს სიტყვით კანტონის ვიცე-კოროლს განუცხადებია, არ შემიძლიან უცხოელების მშვიდობიანობის დაცვა და ხელშეუხებლობაო. მისიონერები და კანტონ-კაულუნის რკინის გზის მოსამსახურეები გაიქცნენ.

**ჰამბურგი.** ჩრდილოეთის ზღვაში ინგლისის გემი მეთევზეების გემს დაეჯახა. მეთევზეების გემი ჩაიძირა.

**ბერლინი.** ლანდტაგის კომისიამ უარჰყო წინადადება, რომ ყველას ერთნაირი საარჩევნო უფლება ჰქონოდა. კომისიამ მოიწონა წინადადება ფარულ კენჭის ყრის შესახებ.

### ინგლისის პარლამენტის შედგენილობა.

**ლონდონი.** საბოლოოდ გამოირკვა ინგლისის პარლამენტის შედგენილობა. ახალ პარლამენტში იქნებიან: 274 ლიბერალი, 273 უნიონისტი, 84 ნაციონალისტი, და 41 მუშათა პარტიის წევრი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** ყარადაღიდან ჩამოვიდნენ ბუჯა-უდ-დოულის და ბაგირხანის რაზმები. მათ თან ჩამოჰყვნენ ყარადაღის ის ხანები, რომლებიც მთავრობის მხარეზედ გადმოვიდნენ. ბუჯა-უდ-დოულე ძალიან ავად არის.

### ჰაერში ფრენა

**კაირი.** დამთავრდა ჰაეროპლანების გაჯიბრება. ჰაერში მფრენავ რეჟიე 220 ვერსი გაფრინდა და 255 მეტრის სიმაღლეზედ ავიდა, რისთვისაც ჯილდო მიიღო.

### რუსეთი

**ჟიტომირი.** დაბა კოტელნიკაში იპოვეს უცნობის გვამი, რომელიც ჯერ გაეცარცვათ და შემდეგ თავი მოეკვეთათ. რადზივილოვოში დააპატიმრეს მკვლელი. მკვლელი საზღვარზედ გადასვლას სცდილობდა.

**სახალინი.** დილის 5 საათსა და 15 წუთზედ მიწა იძრა.

**მოსკოვი.** ტურისტთა საზოგადოების საექსკურსიო კომისიის სადგომში პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე სოციალ-დემოკრატი. წაიღეს არალეგალური ლიტერატურა და მიწერ-მოწერა.

**ოდესსა.** ქალაქის საქმეთა გამგეობამ შესაძლებლად ვერა სცნო დაემტკიცებინა ქალაქის საბჭოს დადგენილება, ოდესის გრადონაჩალნიკი ტოლმაჩევი სამშობლოს კეთილდღეობისთვის ილვწოდა და ილ-

## ჩვენი თეატრის მატიანედან

(შემდეგი*)

შევუდექით საქმეს. 1869 წლის ბოლო ხანებში იყო თუ 1870 წლის დასაწყისში (კარგად არ მახსოვს) თ. ლუარსაბ (მაქრო) მაღალაშვილთან მოვიწვიე, დაბეჭდილი ბარათებით, იმ დროის ყველა რითიმე გამოჩენილი ყმაწვილ-კაცობა (ინტელიგენცია) და საგანიც ვაცნობე, რისთვისაც იყვნენ მოწვეულები. ბევრნი მოვიდნენ, ზოგმა თან სხვებიც მოიყვანა, ხოლო საერთოდ იმდენი შეიკრიბნენ, რომ ჩვენთვის სრულებით მოულოდნელი იყო. წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული: იმდენა ხალხის მოსვლამ გვაფიქრებინა, რომ თეატრის საკითხს ალბად მოიმწიფების ხანა დასდგომიაო. მაგრამ, როდესაც თავმჯდომარედ არჩეულმა პირმა, რომლის სიტყვა იმ დროს (და მერეც) კანონად ითვლებოდა, ამ სიტყვებით მოგვმართა: „ნეტა ამოდენა ხალხი ვინ მოგვიწვია და რისთვის მოგვიწვიაო?“ მაშინ ჩვენ, მომწვევლებს, ჯერ უჩინართ, მხოლოდ „ბიჭ-ბუჭების“ წოდების დამსახურებულთ, მთლად დავთრები აგვერია. კარგად ვიცოდით, რომ მაშინდელ ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეთ თეატრის დაფუძნების წადილი შეუძლებელ და სასაცილო საქმედ მიაჩნდათ. ამიტომაც თავმჯდომარის მომართვამ ბრალდებულთა მდგომარეობაში გვაგრძნობინა თავი. მაინც კითხვას პასუხი უნდოდა და მეტი ღონე არ იყო, დიდი პაუზის შემდეგ, ძლივს ღონე მოვიკრიბე და ვუპასუხე: თეატრის საქმეზედ მოსალაპარაკებლად მოგვიწვიათ მეთქი.

— მერე რა გინდათ? გვკითხ კვლავ თავმჯდომარემ.

— ეგების რამე მოვაგვაროთ საერთოდ, რომ მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ თეატრის საქმე.

— რის მოგვარება შეიძლება? თავ. გ. ერისთავმაც ვერ შესძლო უსუბსიდიოდ იმის გაძღოლა, და თქვენ როგორ შეიძლებთ?

— კიდეც იმიტომ შეგაწუხეთ და მოგიწვიეთ, რომ მარტონი ვერას შევიძლებთ, თუ დაგვეხმარებით და რაიმე წყაროს გამოსძებნით, მაშინ ეგების მოხერხდეს, თეატრის საქმე მტკიცე ნიადაგზედ დავაყენოთ.

— არსად ყოფილა მაგალითი, რომ თეატრი სახელმწიფოს ან კერძო პირის დაუხმარებლად დაფუძნებულიყოს. ჩვენ კი არც მთავრობის დახმარებისა და არც კერძო პირის იმედი გვაქვს. არაფრით კი თეატრის დაფუძნება არ შეიძლება. ვინ რას მოგვცემთ?

ამაზე თავმჯდომარეს ვუპასუხე, რომ ფულის თხოვნა და მოგროვება ფიქრადაც არა გვქონია, მხოლოდ გვინდოდა ისეთი რამე დაედგინა კრებას, რომ საკულაოდ თეატრის საქმეს დაჰხმარებოდა მეთქი. რაიცა შეეხება ფულს, ესეც შეიძლება სხვისა შეუწუხებლად, უქველმოქმედოდ, ვიშოვოთ, მხოლოდ ცოტაოდენი მოხერხება იქნება მეთქი საჭირო. აქ ის კომბინაცია წარვუდგინე, რომ ერთი შემოსავლიანი გამოცემა გვაქვს, რომლიდგანაც ვაჭარ-გამომცემელს ყოველ წელიწადს კარგ მოგებას აძლევს მეთქი. ის გამოცემა რაიმე რიგად ჩვენ ვიკისროთ და მოგება თეატრს მოვახმაროთ მეთქი. აქ მე მხედველობაში ბ-ნ ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ მქონდა და მისი გამომცემელი ვართანოვი. ამაზე თავმჯდომარემ მიპასუხა: „კერძო პირთა ანგარიშში საზოგადო საქმის გარევა არ შეიძლება; მაგისთანა ხერხებს სჯობია თავი დაანებოთ. ყველამ თავის საქმისა თვითონ უკეთ იცისო“.

ამის შემდეგ აღარ ვიცოდით, რა გვექნა, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავცვივდით, რადგან თავმჯდომარემ ლაპარაკი განსაზოგადოების მაგიერ, თავის კითხვითა და ჩვენი პასუხით შემოსაზღვრა. ეს უხერხულობა იგრძნო მასპინძელმა, ლ. მაღალაშვილმა და ლაპარაკში ჩამოერია. იმან სთქვა: „ეს ყმაწვილები საქმეს შესდგომიან და ჩვენ დახმარების მეტი არა გვმართებს რაო. თუ ნივთიერად ვერ დავეხმარებით, რომ საქმე აწარმოვონ, ის მაინც შეგვიძლიან, ზნეობითი დახმარება გაუწიოთ. ავირჩიოთ რამდენიმე პირი და იმათ დავავალოთ, თეატრის საქმეს ხელი შეუწყონ: რჩევით, წესრიგის დამყარებით, წარმოდგენების გამართვით და ყველა იმ საქმის შესრულებით, რაც თეატრის რიგიანად წაყვანისათვის საჭიროა. ესეც სარგებლობას მოუტანს თეატრის საქმეს და ამაზე მეტს ვერც ესენი მოგვთხოვენო“. ყველა დაეთანხმა ამ აზრს და „კომიტეტის“ არჩევას შეუდგნენ. აირჩიეს ბ-ნნი ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე და მე. ამ კომიტეტს მიანდეს ქართულ თეატრზე ზრუნვა: მოყვარულთა წარმოდგენების მართვა, შემოსავლის მოგროვება, და საერთოდ ყველა ღონის-ძიების ხმარება, რომ ქართული თეატრის წარმოება აღარ შეფერხებულიყო.

ეს კრება და მისი შედეგი—კომიტეტის არჩევა—იმ ძალად შეიქმნა, რომ ქართულ თეატრს მიძინება აღარ შეეძლო: ძალით იყო თუ ნებით, იგი ქართველ საზოგადოების (ინტელიგენციის) სურვილად შეიქმნა, ესე ვსთქვათ—მისი დასტურება მიიღო. ჩვენი წრისთვის ესეც დიდი რამ იყო, რადგან ახალი ჰკირისუფლის მიმატებით წრის სურვილი—განზრახვა უფრო საიმედო შეიქმნა.

ჩემი აზრით, „წრის“ დაარსების დრო თუ არა, ამ კომიტეტის არჩევის წელიწადი მაინც უნდა ჩაითვალოს, სამართლიანად, ქართული თეატრის დაფუძნების წელიწადად—თავის საკუთარ მისწრაფებით და თავის საკუთარ ძალღონეზედ დანდობითა.

ამ კომიტეტის არჩევის შემდეგ ჩვენს წრეს ფარხმალი არ დაუყრია, პირიქით, უფრო გაბედვით განაგრძო მან თავისი მოქმედება, რადგან თავისივე მეცადინეობით დაფუძნებულს კომიტეტს გაჭირვებაში მისამართ ღონედ ჰხდიდა. თვითონ კომიტეტმაც ესა დაიჭირა თავი, რადგან, ჩემს გარდა, იმის წევრებს მუდამ წარმოდგენების მართვაში აქტიური მონაწილეობა არ შეეძლოთ მიეღოთ, რაიცა ჩვენს წრეს თავისთვის სავალდებულო საქმედ მიაჩნდა. მაინც „წრესა და კომიტეტს“ შორის კავშირი ძალაუნებურად არსებობდა: მე ორივეს წევრი ვიყავ, და კომიტეტის წევრი ანტ. ფურცელაძეც უწინაც ხშირად იღებდა მონაწილეობას წრის საქმეებში ზნეობითი დახმარებით. კომიტეტის დაარსებამ ისიცა ჰქმნა, რომ ჩვენი „წრის“ ზოგიერთმა მაშინდელმა ინტელიგენციაში სახელის მქონემ კეთილ განწყობილებით დაგვიწყო მოპყრობა, ხან და ხან ჩვენ „ბიჭ-ბუჭების“ „ჩხირკედელობას“ დაჰხედავდა ხოლმე, კეთილ სიტყვასა და რამე რჩევას დაგვახმარებდა ხოლმე. ესენი იყვნენ მაშინდელი „კრებულისა“ და „დროების“ რედაქციები, ნ. ხუდადოვი, ლ. მღებროვი, სტ. ზარაფიშვილი და სხვანი, ხოლო პეტრე უმიკაშვილი უფრო შხირი სტუმარი შეიქმნა ჩვენი და ყველა მისი სიტყვა და რჩევა მუდამ გულითადი იყო. საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ ხსენებულ ყრილობისა და კომიტეტის არჩევის შემდეგ საზოგადოებამაც უფრო კეთილ განწყობით დაგვიწყო მოპყრობა და ჩვენი „წრეც“ თავის თავს უწინდებურად ობლად აღარა სთვლიდა. რის იმედიც გვქონდა იმ წრის მოწვევით, ცოტად თუ ბევრად ასრულდა: მოქმედების უფლება, ესე ვსთქვათ, დაგვიდასტურდა და მაშინდელი სახელიან ინტელიგენციიდან კომიტეტის წევრების დაახლოვების გარდა ზოგიერთმა ინტელიგენტმა უფრო კეთილგანწყობით დაგვიწყო მოპყრობა.

წრემ თავისი საქმე კვლავად განაგრძო. ყველაზე მეტი საზრუნველი იმისთვის ეხლა ის შეიქმნა, რომ ქალების როლების აღმასრულებლად თვის წევრის კნ. ბაბო ხერხეულიძისთვის გვერდში მისი მდგომარეობის მსგავსი ქალები ამოეყენებინა. ამით გვინდოდა საქმეც წარმატებაში შეგვეყვანა და ბაბოს რომ ნათესავებისაგან კილვა-ზრახვა დაატყდა თავს, ისიც გაგვებათილებინა, გაგვექარწყლებინა. ამისა იმედი კი არა გვქონდა, თუ წარმოდგენებს საჯაროდ ისევ კლუბებსა და მისთანა ადგილებში გავმართავდით. ამასთან საჯარო წარმოდგენების გამართვის ღონე აღარა გვქონდა, რადგან წინა წლებში იმისთანა წარმოდგენების გამართვამ მეტად დაგვბერტყა და საქმე გაგვიჭირა. ამიტომ ჯერ-ხანად ისევ შინაურ წარმოდგენების მართვა გადავწყვიტეთ. ამით იმედი გვქონდა, ბაბო ხერხეულიძის მიხედვით, ჩვენი ოჯახის ქალებს სცენაზე გამოსვლას უფრო გაუადვილებდით და ზარალსაც თავიდან ავაცილებდით. ეს კიდევ იმითაც გვიადვილდებოდა, რომ სცენის მოსაწყობი მასალა და ავეჯიც მომეტებული ნაწილი უკვე გვქონდა. ამგვარად ისევ შინაური წარმოდგენები დავიწყეთ.

პირველი ორი წარმოდგენა საყმაწვილო გავმართეთ ავჭალის ქუჩაზედ კნ. დარია შალიკაშვილის სახლში (ეხლა რომ სასულიერო სასწავლებელია). პიესები წრის წევრის ვასო თარხნიშვილის დაწერილები ვითამაშეთ. ბილეთის ფასი 25 კაპ. იყო, ისიც იმიტომ, რომ გამასპინძლება ალუთქვით დამსწრეთ. ამან მართლა ბლომა ხალხი მოიზიდა, საკმაოდ დიდი დარბაზი სავსე იყო, და ბევრმაც ადგილი ვერ იშოვა. წარმოდგენებს ცეკვა და თან ხილეულობით გამასპინძლება მოჰყვა. დამსწრენი ძლიან კმაყოფილნი დარჩნენ. ამ წარმოდგენებზე, ბაბო ხერხეულიძის მიხედვით, ჩვენმა ოჯახის ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა. ესენი იყვნენ: თავადის ასულნი მაშო შალიკაშვილისა, ბაბო ვაჩნაძისა, მარიამ აფხაზისა, ან. გურამიშვილისა, შემდეგ ქ-ნნი დაკიშევიჩისა, ვარლამოვისა და სხვანი. ეს გამარჯვებად ჩავითვალეთ და თუმცა ნივთიერი მარცხიც მოგვდიოდა, მაინც განვაგრძეთ საქმე. ზოგიერთ ამ ქალების დახმარებით ექვსი წარმოდგენა კიდევ გავმართეთ სხვა სახლებში: ორი მ. ყაზაროვის სახლში (ნიკოლ. და

*) იხ. „დროება“ № 23.

ვწისო. ქალაქის საქმეთა გამგეობის დადგენილებით, ქალაქს არ შეეხება ამა თუ იმ მოხელის მოქმედების დაფასება და ქება.

**ლიბავა.** პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულების ქარხანა. წაიღეს ფულის მოსაჭრელი მანქანებიდან გაკეთებული ფული. დააპატიმრეს 4 კაცი.

**მოსკოვი.** ჩამოვიდა სახელმწიფო ბანკის გამგე. ბანკის გამგემ უნდა გამოიძიოს საქმე ბანკის ადგილობრივ განყოფილებიდან ყალბის დოკუმენტებით 92,000 მანეთის გატანის შესახებ.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც „რეჩი"-ს თანამშრომელს, იაბლონოვსკის ორი თვით დაპატიმრება მიეცა. იაბლონოვსკიმ „რეჩ"-ში წერილი დაბეჭდა, ამ სათაურით „lex ტიმოშკინი". ამავე დღეს პალატამ გაამართლა ფელნა. ბრალდებოდა ლევ ტოლსტოის ბროშიურის „სად არს გასავალი"-ს გამოცემა.

**მოსკოვი.** სამხედრო სასამართლომ დაამთავრა 27 კაცის საქმე. ბრალდებოდათ 1905 წელს ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის მოხდენა. სასამართლომ ოცი ბრალდებულს სხვა და სხვა ვადით ციხე მიუსაჯა, 7 გაამართლა.

**ირბიტი.** სოფელ პოდელნიკში უცნობმა ერთი ოჯახი ამოწყვიტა, სულ სამი სული. უცნობმა ფული გაიტაცა, მერე თავი მოიწამლა.

**ოდესსა.** გამოირკვა, რომ საეკლესიო ნივთეულობის მაღაზიაში ყუმბარა მიუტანია უცნობს. ყუმბარა საშინელის სისწრაფით აფეთქდა. ზარალი 70,000 მანეთს უდრის.

# ჩამოსახლება

(წერილი საჭილაოდან, სენაკის მაზრა)

ჩვენ სოფელში ერთი გვარიანი მოზრდილი მამულია თავ. მიქელაძეების და კორძაიებისეული, რომელიც დღეს სახელმწიფო ბანკის ხელშია. ამას წინად ამ მამულის დასათვალიერებლად რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ჩამოვიდა რამდენიმე კაცი რომელთაც თან ჰქონდათ მამულის მმართველთან ოფიციალური მოწყერილობა—ეჩვენებინა მამული და ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა. როგორც დამარწმუნეს, მამული მოსწონებიათ და გადაუწყვეტიათ, საგლეხო ბანკის საშუალებით შეისყიდონ და გადმოსახლდნენ. სულ გადმოსახლებას აპირებს სამასამდე კომლი.

ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე დააყენებს ჩვენებურ გლეხებს ეს ამბავი. ჩვენში ოთხი საზოგადოებაა, რომელთათვისაც ისე საჭიროა ეს მამული, როგორც თევზისთვის წყალი. ამ ოთხ საზოგადოებაში დაახლოვებით 4000-მდე მეკომური გლეხი იქნება. ამათი უმრავლესობა ნივთიერად იმდენად შეძლებულია, რომ შეუძლიანთ ამ მამულის შესყიდვა. სურვილიცა აქვთ, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ გლეხს ერთი ახირებული ზნე სჭირს: თუ მზა-მზარეულად არ ჩაუდე ხელში ესა თუ ის საქმე, ერთ გროშსაც არ გაიმეტებს საქმის მოსაწყობად და ყოველგვარ რჩევა-დარიგებას რაღაც ეჭვის თვალით უყურებს.

თითონ მე დავესწარი ზოგიერთ უფროს შეგნებულთა მსჯელობას ამ სამწუხარო მოვლენაზე. რა ვქნათ, კაცი არა გვყავს ისეთი, რომ გაძლვეს და გზა გვიჩვენოს, თორემ ხარჯს ვილა დაეძებსო, ამბობდნენ ზოგიერთები. მე ვურჩიე, გაეგზავნოთ ერთი-ორი კაცი ტფილისში. სადაც რედაქციაში ან სხვაგან იშოვიდნენ გულშემატკივარს, რომელიც უსასყიდლოდ მიაწოდებდა ყოველგვარ საჭირო ცნობას და დარიგებას მისცემდა. ეს აზრი მოეწონათ და გადასწყვიტეს კიდეც, მოეკრიბათ გზის ფული და წასულიყვნენ ტფილისში, მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ ამოდენ ხალხმა თავის სურვილით ოცი მანეთი ვერ მოჰკრიბა, მაშინ, როდესაც სულ რამდენსამე დღეში დაახლოებით ოცი ათას მანეთამდე ჩააბარეს მამასახლისებს და ბოქაულს. მაგრამ ეს მათრახებმა ჰქნა, ხოლო როცა ნება-ყოფლობაზე მიდგა საქმე, თავიანთ საჭიროებისთვის ორიოდე გროში ვერ მოაგროვეს...

ტ. ქ.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **საავადმყოფოს გახსნა.** 2 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა ქალაქის საავადმყოფოს პირველი პავილიონი. როგორც ვიცით, ქალაქის გამგეობამ საკუთარ ადგილის გარეშემო, წინანდალის ქუჩაზე, შეიძინა კერძო პირთა ადგილებიც. ეხლა იქ 22,000 ოთხ-კუთხი საჟენია. ამ ადგილზე გადაწყვეტილია, გაშენდეს ეგრედ წოდებული „საავადმყოფო" ქალაქი. პირველი პავილიონი საავადმყოფოსი გამგეობამააშენა იმ ფულით (100,000 მან), რომელიც არამიანცმა შესწირა. ამ ფულს ქალაქმა დაუმატა 60,000 მანეთი და ააგოს სამ-სართულიანი მშვენიერი შენობა. შენობის ქვემო სართულში მოთავსებულია ქირურგიული, ხოლო შუა სართულში—შინაგან ავადმყოფთა საწოლი ოთახები. სულ საავადმყოფო იტევს 120 ავადმყოფს. მესამე სართული დათმობილი აქვს ლაბორატორიასა და სხვა საჭირო განყოფილებებს. საზოგადო საწოლებში თვიურად ავადმყოფები იხდიან 15 მან., ხოლო განსაკუთრებულ ოთახებში—40 მანეთიდან 90 მანეთამდე. იქვე მოწყობილია ელექტრონისა და ორთქლით გასათბობი სადგური. კურთხევას ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო. ქართველ საზოგადოებიდან იყო ვინმე თუ არა მიწვეულიარ ვიცით, ხოლო დაესწრო მარტო ორიოდე ექიმი და ერთი ორი სხ. სამაგიეროდ მთელი საავადმყოფოსავსე იყო სხვა და სხვა ერთა წარმომადგენლებით. დაესწრნენ: ნამესტნიკის მეუღლე, გენერლობა, სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი. ბევრნი იყვნენ ექიმები და საექიმო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. საქართველოს ეგზარხოსმა გადაიხადა პარაკლისი და აკურთხა შენობა. პარაკლისის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა თვით ეგზარხოსმა. ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა ვრცლად ილაპარაკა და აღნიშნა, თუ რა გაუკეთებია ქალაქს ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში. მადლობით მოიხსენია სახელი ძმ. ზუბალაშვილებისა, ნ. ე. ზუბალაშვილისა, არამიანცისა და სხვათა, რომელთაც თავიანთის შემოწირულებით დიდი დახმარება გაუწიეს ქალ. დაწესებულებების შექმნა—დაარსებაში. ვრცელი მოხსენება წაიკითხა საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა გ. ნ. სტეფანოვმა და დაწვრილებით აღწერა საავადმყოფო. ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენელთ მიულოცეს საავადმყოფოს გახსნა სამხედრო საავადმყოფოს წარმომადგენელმა, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების და საბებიო ინსტიტუტის სახელით ექიმმა ფიშერმა, ტფ. მიხეილის სახელობის საავადმყოფოს უფროს ექიმმა გურკომ. რკინის გზის ექიმთა წარმომადგენელმა ბ-ნ სახაროვმა და სხვებმა. მოლოცვის დეპეშები მოვიდა აგრეთვე ქალაქის თავის ვ. ნ. ჩერქეზიშვილისა და ყოფილ თავის ნ. ვ. არგუთინსკი დოლგორუკისაგან. შემდეგ დამსწრენი ბატონმა ხატისოვმა მიიწვია საავადმყოფოს დასათვალიერებლად. ყველგან სამაგალითო სისუფთავე იყო. ყველაფერი მკვიდრია, თვით შენობაც და ნივთებიც. ასეთი საავადმყოფო არა თუ კავკასიაში, რუსეთის დიდ ქალაქებშიაც იშვიათია. დასასრულ სტუმრები ჩაიზე მიიწვიეს. ქალაქის გამგეობამ დეპეშები გაჰგზავნა და მადლობა გადაუხადა შემწირველს არამიანცს და აგრეთვე აცნობა ქალაქის თავს ვ. ნ. ჩერქეზიშვილს საავადმყოფოს გახსნის ამბავი.

✦ **უნივერსიტეტი ტფილისში.** 2 თებერვალს საღამოთი ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნებს კერძო თათბირი ჰქონდათ ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ. გამოირკვა, რომ უნივერსიტეტის დამაარსებელი კომიტეტი ძალიან დუნედ მუშაობს. სხდომამ გაიცნო საქმის ვითარება და დაადგინა, მიმართოს ნამესტნიკის სამოქალაქო ნაწილში თანაშემწეს სენატორ ვატაცის და სთხოვოს, იხმაროს ღონისძიებანი, რომ უნივერსიტეტის დამაარსებელმა კომისიამ დააჩქაროს მუშაობა.

✦ **მარიამ დემურიას გარდაცვალების გამო.** მოვიდა სამგლოვიარო დეპეშები: პეტერბურგიდან ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრისაგან, დ. დეკანოზიშვილისა და ვლ. გეგეჭკორისაგან, ლიხოსლავლიდან ა. კაპანაძისა და თ. ხარაბაძისაგან.

✦ **წ.-კ. საზოგადოების განყოფილება სიღნაღში.** სიღნაღიდან გვწერენ: „31 იანვარს სიღნაღში ექ. კონსტანტინე ტურიაშვილის მოწვევით გაიმართა წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების დამფუძნებელთა საორგანიზაციო კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ექ. კ. ლ. ტურიაშვილი, რომელმაც მოკლედ გააცნო დამსწრეთ წ.-კითხვის საზოგადოების მოღვაწეობის ისტორია. ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ კრებამ დაადგინა, გაიხსნას საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება და მახლობელ საგნად დაისახა ბიბლიოთეკის გახსნა წიგნის მაღაზიით და დაარსება სახალხო სკოლისა. რაიონი მოქმედებისა დასახულია ქალაქი სიღნაღი ბაზრითურთ. დასასრულ, გაიმართა არჩევანი თავმჯდომარისა. -გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი. გამგეობის წევრებად: ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი, ნიკო ბაქრაძე, კონსტანტინე ჯაფარიძე, ივანე ქიტიაშვილი, ნინო ანდრონიკოვისა. საორგანიზაციო კრების ოქმი უკვე გაეგზავნა მთავარ გამგეობას.

✦ **დიდუბის სამკითხველოს კურთხევა.** კვირას, 7 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, მოხდება დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს კურთხევა.

✦ **„კახეთის" საზოგადოების კრება.** 18 თებერვლისთვის თელავში დანიშნულია „კახეთის" საზოგადოების საზოგადო კრება.

✦ **საღამო.** ტფილისის „კრუჟოკის" სადგომში 22 თებერვალს გაიმართება ჩვეულებრივი სათავადაზნაურო ბალი. ეს ბალი უნდა გამართულიყო 6 იანვარს. დიასახლისი კნ. ი. კ. თუმანიშვილისა.

✦ **შეტაკება.** ჩოხატაურის საბოქაულოში, როგორც „კავ."-ს ატყობინებენ, 1 თებერვლის შეტაკება მოსვლიათ სტრაჟნიკებსა და ყაჩაღებს, მოუკლავთ უფროსი სტრაჟნიკი. ყაჩაღები მიმალულან.

✦ **ავტომობილები ტფილისიდან კავკავამდე.** ნამესტნიკმა ნება დართო ბელგიელ კაპიტალისტს ლევოს გაზაფხულიდან მოაწყოს ავტომობილების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შუა. ჯერ-ჯერობით ლევოს ექნება ხუთი ავტომობილი, ხოლო წლის დამლევს—28 ავტომობილი.

✦ **გაზეთის დაკეტვა.** მირზოევის, ლ. ყიფიანის და ნაგურსკის. ორშაბათის გაზეთი „ეჟენედელნოე ობოზრენიე" უკვე დაკეტილა.

✦ 1 თებერვალს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: ოქრომჭედლების ქუჩაზე დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე ვასილ კესოსიანცი, რომელსაც ჰბრალდება 1909 წელს სოფ. კარაკლისში რკინის გზის ინჟენერის გინტორის მოკვლა. დააპატიმრეს შუა ბაზარში დავით ისაკულიანცი, რომელსაც დაბრალდა კარაპეტიანცის სახლიდან 40 მანეთის ნივთების მოპარვა. მანავის ქუჩაზე აკულინა ლისენკოსთვის ქურდებს მოუპარავთ ძროხა. ეჭვი ლისენკომ განაცხადა ივანე მაისაშვილსა და გედევან და დიმიტრი ბეჟიაშვილებზე, რომელნიც დააპატიმრეს. 1 თებერვალს ღამე პოლიციის მე-XI ნაწილში. დააპატიმრეს მეეზოვე ზაქარია ფურცელაძე, რომელიც საგენერალ გუბერნატოროდან ყოფილა გადასახლებული და ნება დაურთველად დაბრუნებულა.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ანფისას გასამართლება.** სამშაბათს, 9 თებერვალს, ქალაქის თეატრში დანიშნულია ანფისას გასამართლება. თავმჯდომარედ იქნება ილია ჩიქოვანი, ბრალმდებლად მოსე ქიქოძე და დამცველებად გრ. რობაქიძე და გრ. გიორგაძე. გასამართლება მოხდება ქართულ სცენაზე.

✦ **ჩოგოვაძეს გარდაცვალება.** 31 იანვარს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა გაბრიელის სახელობის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორი მელიტონ იესეს ძეს ჩოგოვაძე. მისმა გარდაცვალებამ დაალონა ქუთაისის საზოგადოება.

# ეპისკ. კირიონი და ვოსტორგოვი.

„რანნეე უტრო"-ში დაბეჭდილია: „ეს ორი თვეა, რაც პეტერბურგში სცხოვრობს ეპისკოპოსი კირიონი. ეპისკოპოსი კირიონი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ერთი უმტკიცესი დამცველთაგანია. ზოგიერთ პირების ცილის წამებას გამო ეპისკოპოს კირიონს კათედრა და პენსია წაართვეს და ტამბოვის გუბერნიის ერთ მიყრუებულ მონასტერში გაჰგზავნეს.

როგორც გამოირკვა და ეპისკოპოს კირიონს ამის საბუთებიცა აქვს, კირიონის წინაამლდეგ უმოქმედნია დეკანოზ ვოსტორგოვს. ეპისკოპოსმა უკვე მიმართა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს პროკურორს, სამართალში მიეცეს დეკანოზი ვოსტორგოვი ცილის წამებისთვისო.

უკანასკნელ დროს სინოდი, ცოტა არ იყოს, მოწყალების თვალით უყურებს კირიონს. კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სამართლიანმა მოხსენებებმა გამოაშკარავეს, რომ კირიონი უბრალოა და უსამართლოდ იტანჯებოდა.

ეხლა კირიონს წირვა-ლოცვის ასასრულებლადაც კი იწვევენ. მაგალითად 24 იანვარს მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სამიტროპოლიტოს ქორ-ეპისკოპოსის ვენიამინის კურთხევაში.

ხმა დადის, ეპისკოპოსს კირიონს მოკლე ხანში კათედრას მისცემენო.

ვოსტორგოვის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარსაც მსვლელობა მიეცა. ვექილებად კირიონს მოწვეული ჰყავს სახელმწიფო სათათბიროს წევრი მაკლაკოვი და სხვა გამოჩენილი იურისტები. ეპისკოპოსმა კირიონმა სასამართლოს მოხელეებს განუცხადა, ვოსტორგოვის დასჯა კი არ მინდა, არამედ სიმართლის აღდგენაო.

# მოწერილი ამბები

**თელავი.** უგზოობით თუ სხვა მრავალ მიზეზისა გამო კულტურულ ქვეყნიერობას ჩამორჩენილ თელავს ერთად-ერთი კავშირი ტფილისის ცხოვრებასთან აქვს ყ.-გაზეთების საშუალებით. ამის გამო ყ.-გაზეთები თელავში ბევრი უნდა მოდიოდეს, მაგრამ, საუბედუროდ, მკითხველი ჩვენში ძალიან ნაკლებია. ვაჭარსა და ხელოსანს აღარ ვიტყვი, ბევრი ინტელიგენტის ოჯახია, სადაც გაზეთს არც იწერავენ და არცა კითხულობენ. ყ.-გაზეთების ხელის მომწერნი შეიძლება სულ თითებზე ჩამოითვალნენ ჩვენ კურთხეულ თელავში, სადაც 18 ათასი მცხოვრები ითვლება. ზოგს შეიძლება კიდეც ენტერესებოდეს, მაგრამ გაზეთებზე ფულის დახარჯვა ემძიმება. ჩვენში როგორც გაზეთებზე და წიგნებზე ენანებათ ფული, ისე რომ ღვინოზე ჰზოგავდნენ, აქამდე ბევრი მიკიტანი გაკოტრდებოდა...

ამ გარემოებას ზედ ემატება ყ.-გაზეთების მიღების მოუწესრიგებლობა და ეს გარემოება ხელს უშლის გაზეთის მკითხველთა გამრავლებას. ტფილისის ახალ ამბებს მაშინ ვიგებთ, როცა უკვე დაძველებულია და აღარც ისეთი ინტერესი აქვს. ტფილისის გაზეთები მოდის ფოსტით და ვიღებთ მხოლოდ მესამე დღეს, მაშინ, როცა ადვილი შესაძლებელი იყო, ყოველ დღე საღამოს 4 5 საათზე თელავში მიგვეღო ტფილისის დილით გამოსული გაზეთები, როგორც წინად იყო (ავტომობილის წყალობით, რომელიც გომბორამდე მოდის, დილიჟნები თელავში ეხლა 4-5 საათზე შემოდიან). ბევრნაირი სარგებლობა მოჰქონდა ყოველ დღე გაზეთების მიღებას. ფოსტით მხოლოდ ისეთები იღებენ, ვისაც წლიურად აქვს გამოწერილი, ისე კი ხელზე ყოველ დღე 40-60 გაზეთი იყიდებოდა, ზაფხულობით ორჯელ მეტი. ამის წყალობით ბევრს საშუალება ეძლეოდა, გაზეთი შეეძინა ხოლმე და მისხვედა კითხვას.

მართალია, იყო წინედ და ეხლაც

რუუტ. ქუჩების კუთხეში), ორი ფელდოროვის სახლში (ეხლა სახაზინო თეატრის ბაღია) და ორიც ანდრონიკაშვილის სახლში (საპიორნი ქუჩაზე). ყველგან ხალხი ბლომად ესწრებოდა და კმაყოფილი რჩებოდა. რადგან ფასს მცირეს ვნიშნავდით, ყველგან ან თანაბრად გამოვდიოდით ან ცოტა ზარალი მოგვდიოდა, რადგან მუსიკა ან საზანდარი, ტანისამოსის ქირა, პარიკ-მახერი და სცენის და დეკორაციების ზოგგან მიმატება და ზოგგან დაკლება და ამისთვის საჭირო ხარჯი და ხელოსნები მეტად გვიჭირებდნენ საქმეს. სცენა ყველგან დილიდან წარმოდგენის დაწყებამდის უნდა გაგვემართა, და ეს ჩვენი საჭიროება ხელოსნებს აინუნშიაც არ მოსდიოდათ. ამიტომ ჩვენგანს, ვინც ხელეხო-ბერის ხმარებაში მარჯვე იყო, ერთ ხელში როლი ეჭირა და მეორეში რამე იარაღი და დურგლებს შველოდა, რომ სცენის მოწყობა წარმოდგენის დაწყებამდის გათავებულიყო.

ესე გავატარეთ 1870-1871 წ. წ. ამას შემდეგ საქმე არშაკუნის სახლში გადავიტანეთ, სადაც რომელიც კლუბს სცენაც ჰქონდა გამართული. იქ რამდენიმე წარმოდგენა გავმართეთ და შემდეგ ისევ ნემეცების კლუბში გადმოვიტანეთ ჩვენი მოქმედება (ეს კლუბი მაშინ გოლოვინის პროსპექტზე იყო, ჩითახოვის თუ ზარაფოვის სახლში). წარმოდგენების კლუბში გადმოტანამ როლების აღმასრულებელი ქალები, შინაურ წარმოდგენებში რომ იღებდნენ მონაწილეობას, კვალად ჩამოგვაცალა და შეგვრჩა მხოლოდ ჩვენი წრის წევრი, მეტად გულმოდგინე, თავ. ხერხეულიძის ასული ბაბო. ზოგჯერ ვარლამოვის ქალიც იღებდა ხოლწე მონაწილეობას, მაგრამ ორი ქალით რა წარმოდგენები გაიმართებოდა? საქმე ისევ გაგვიჭირდა. აქ დატრიალდა ბაბო ხერხეულიძე და მის მეოხებით ქ-ნმა ელენე ბროძელის ასულმა ანტონოვსკისამ იკისრა როლების აღსრულება.[16] ამ ხანებში ხანდახან სომხის არტისტი ქალი სოფიო ნაზარიანცისა (შემდეგში ქ-ნი იზმიროვისა) იღებდა ხოლმე ჩვენს წარმოდგენაში მონაწილეობას, და ესე კვლავ გაგვეჩარხა საქმე. ამ ძალღონით წარმოდგენების საქმე 1871—1872 წ. წ. იოლად მიგვყავნდა.

1872—1873 წლები ჩვენი თეატრისთვის, უწინდელ წლებთან შედარებით, სრულებით განსხვავებულნი შეიქმნენ. ხუთი-ექვსი წლის (1867—1872) დაუცხრომელმა, უანგარო შრომა-გაჭირვებამ ჩვენგან განზედ მდგარ ორივე სქესის ინტელიგენციაში შეგნება, თვით ცნობიერება მოახდინა. უწინ შეუძლებლად მიჩნეული საქმე—შესაძლებლად დაანახვა, უწინ „ბიჭ-ბუჭები" მოსაქმე ხალხად გადაუქცია, მათი მისწრაფება იდეურ მისწრაფებად აცნობებინა და ამ მათში მომხდარ ცვლილებისა გამო ეხლა ბაბო ხერხეულიძის სახლში (სადაც ჩვენი თეატრის საქმე ბინადრობდა), ვითა სათეატრო სალონში, იმ მოღვაწე ლიტერატორებს თუ არა ლიტერატორებს, ჰნახავდით, რომელნიც უწინ დაცინვის ღიმილით ზევიდან დასცქეროდნენ ჩვენს „ჩანჩხარს", და ზოგს იმისთანებსაც, რომელთაც ადრე (იქნება მაშინაც) ქართული თეატრი და მისი საჭიროება ფიქრადაც არ გაუტარებიათ. ეს წელიწადი უექველად ის წელიწადი იყო, როდესაც ჩვენმა ურწმუნო მოწინავე საზოგადოებამ იწამა, რომ დაუცხრომელი უანგარო შრომა—ძალაა და მისი შედეგი—გამარჯვებაა.

ამ მხრივ რომ გავიმარჯვეთ, მეორე მხრივ ცოტა მარცხი მოუვიდა წრეს. 1872—1873 წლების განმავლობაში საუკეთესო მისი, წევრნი და როლის აღმასრულებელნი ნელ-ნელა ჩამოეცალნენ, ზოგი სწავლის და ზოგიც სამსახურის მიზეზით წრიდგან გავიდნენ: ლადო აბაშიძე, აბელ სუქიასიანი, კოტე მაისურაძე, ლაზ. ეგნატიშვილი, ვანო ელიოზიშვილი, დიმ. ბარამიშვილი, სიკო მგალობელი, მერაბ ყორღანოვი, აგიაძე, კუხიანიძე და სხვანი. მაგრამ რაკი საქმე გზაზედ დამდგარა, მისი შეფერხება შეუძლებელიალა ყოფილა. წასულების მაგიერ მსწრაფლ ახლები შემოვიდნენ წრეში: კოტე ყიფიანი, ზაალ მაჩაბელი, გრიგოლ ტარიელოვი, დ. აბულაძე და სხვანი. ამასთან ძველ მოყვარულთა (1858—1867) დარბაისელთ: კოტე კალოზანსკის და იაკ. იმნაძეს (აფიცრები იყვნენ), მიხ. ელიოზიშვილს (ოლქის სასამართლოს წევრს), გაბო საყვარელიძეს (სახელმწ. ქონების სამმართვ. მოხელეს) აღარ ეხამუხებოდათ ჩვენ წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება, ხოლო როდესაც კი ვთხოვდით, უარის უთქმელად და მასთან არტისტიულად ასრულებდნენ როლებს. ამათ გარდა, სომხის არტისტი-მოღვაწე გეურქ ჩიმიშკიანი ამ ხნიდგანვე ბევრჯელ გვშველოდა წარმოდგენებში—დიდი სიამოვნებითა და გულმოდგინებით. მაგრამ ეს წელიწადები იმით უფრო შესანიშნავი, რომ თეატრის საქმეში მოღვაწეობა მთელმა ქალების წყობამ მიიღო: ესენი იყვნენ: ელენე და მარიამ ყიფიანები, ელისაბედ და ოლგა ყაზბეგები, ბაბო კორინთელი, ნატ. ტარიელოვისა, მერკულოვისა და სხვანი.

ამ გვარად, ჩვენს თეატრს ეხლა ის ხანა დაუდგა, როდესაც შეიძლებოდა ეთქვა კაცს, რომ იგი საზოგადო, საერო საქმედ გადიქცაო. სხვა საზოგადო საქმეებს შორის იმანაც მოქალაქეობა მოიპოვა ჩვენს საზოგადოებაში და ჩვენი სახელოვან ოჯახების თანაგრძნობისა და დახმარების ღირსი შეიქმნა. ეს იმით გამოიხატა, რომ ორმა იმ დროის საპატიო ოჯახის წევრებმა—ყიფიანისა და ყაზბეგისამ—თეატრის საქმეში მახლობელი მონაწილეობა მიიღეს. ხოლო ელენე და კოტე, დიმიტრი ყიფიანის ძე—ასულისაგან ჩვენს წრეში მონაწილეობის მიღებით, დიმ. ყიფიანის სახლის კარიც გაგვეღო, და როდესაც საჭიროება ითხოვდა, რეპეტიციებსა და სათეატრო კრებებს იქაც ვმართავდით ხოლმე. ამ რეპეტიციებზე თვითონ დიმიტრისაც რამდენჯერმე მიუღია მონაწილეობა და, დეკლამაციის გაკვეთილების გვარად, თავის ნათარგმნი შექსპირის დრამები წაუკითხავს ჩვენთვის.

**ნიკ. ავალიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

[16]) საქმე რომ გაგვიჭირდა, ბაბოს თავის მეზობელი და მეგობარი ქალი მოაგონდა—ელენე ანტონოვსკისა. მოიწვია და გაგვაცნო. ჩვენი გაჭირვება რომ გამოვუცხადეთ და როლის აღსრულება ვთხოვეთ, დიდი უარი გვითხრა. მაშინ ბაბომ დაუწყო მუდარა და რომ ვერც არა იმან გააწყო, წყენით უთხრა: „მამ მე ცუდს ვხადივარ, რომ ვთამაშობ? ჩემთან თავს ვერ დასდებო?" შემდეგ ისევ მუდარა დაუწყო, და რომ გაუჭირდა, უთხრა: „დაგიჩოქებ და ისე გთხოვ, მაშინაც უარს მეტყვიო". ამ სიტყვებმა იმოქმედეს და ელენე ანტონოვსკისამ თამაშობა იკისრა და იმ დღიდან ჩვენი წრის წევრი შეიქმნა.

არსებობს ქ.-გაზეთების კანტორა, რომელსაც სორაპანის ამხანაგობისაგან მოსდითდა ქ.-გაზეთები, მაგრამ ხან იყო და ხან არა. ეს ერთი თვეა გაზეთი არ მიუდის.

საჭიროა ამ საქმის მოწყობა.

**დაგვიწყებული.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** 30 იანვრის წარმოდგენამ მრავალი ნაკლი დაგვანახვა ვასილ ყიფიანის ისტორიულ პიესის „სამეგრელოს მთავარ ლევან“-ისა. კითხვის დროს ამ ნაკლს მაგდენად ვერ ამჩნევ, ალბად იმიტომ, რომ მთავარ აზრს, მოქმედების მიმდინარეობას აპყრობ მთელ გულის ყურს, ხოლო მრავალ წვრილმანს, ჩამატებულს, რაც პიესაში უხვად არის გაბნეული, შეუმჩნევლად სტოვებ. უპირველესს ყოვლისა პიესა ძალზე დიდი, გაჭიანურებული და რთულია. ეს სიდიდე და სირთულე სრულიადაც არ წარმოსდგება დედა აზრის განმარტების ან გმირთა ხასიათის და მოქმედების განვითარების საჭიროებით. სიდიდე და გაჭიანურება შედეგია იმისა, რომ პიესაში ბევრი ადგილი და სცენა სრულიად მეტი და შეუფერებელია. ასეთია, მაგალითად, გაძევებულ დედოფლის ორჯელ მალულად სასახლეში მისვლა, უკანასკნელ მოქმედების დიდი ნაწილი და სხვა. ავტორს დიდი ყურადღება მიუქცევია იმ ფაქტებისა და მოვლენებისთვის, რომელსაც ლევან მთავრის მეფობის შესახებ ისტორია გადმოგვცემს, და ეს ფაქტები აღუნიშვნელი არ დაუტოვებია. მაგრამ ისტორიულ პიესის დანიშნულება, ჩვენის აზრით, სრულიადაც ის არ არის, რომ დაწვრილებით გადმოგვცეს ის, რაც ისტორიაში მომხდარა. ყოველ ისტორიულ პიესის ავტორმა უნდა დაგვიხატოს საერთო სურათი ისტორიულ ცხოვრებისა, ხოლო უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ხლართს, იმ დედაძარღვს, რომელზედაც აგებულია პიესის მოქმედება, და იმ მთავარ გმირების ხასიათის განვითარებას, რომელნიც ამ ხლართის გარშემო ტრიალებენ. ჩვენის აზრით, უმთავრესი ნაკლი პიესისა სწორედ აქ არის: ავტორმა ვერ შესძლო მთავარ გმირების — ლევანისა და დარეჯანის — სრულ ხასიათების დახატვა და ვერ შესძლო იქნებ იმიტომაც, რომ ბევრს გამოედევნა, უთვალავ მომქმედ პირს ჩასჭიდა ხელი და მრავალი სურათის გადაშლა განიზრახა.

პიესა სამაგალითოდ იწყება, და, ჩვენის ფიქრით, პირველი მოქმედება საუკეთესოა მთელ დრამაში. ერთბაშად, მაგრამ ბუნებრივად იშლება თქვენ თვალ-წინ ის ინტრიგა, რომელზედაც შემდეგში მთელი დრამა უნდა აიგოს. დარეჯანი და ლევანი — ორი გმირი, რომელთაც ტრაგედიის ალი უნდა გააჩაღონ — პირველ მოქმედებაშივე გამოირჩევიან სხვათაგან და თქვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. აქვე ამჩნევთ დარეჯანის დემონიურ ბუნების ელემენტებს, აქვე ჰხედავთ ლევანის მთავარ თვისებებს — დესპოტიურ ბუნებას დაამავე დროს ნებისა და ხასიათის სისუსტეს. მაგრამ ეს ელემენტები ორი გმირის ბუნებისა და ხასიათისა ჯეროვნად არ არის განვითარებული შემდეგ მოქმედებებში. ბოლო ხომ სულ ძირს უთხრის იმას, რასაც წინა მოქმედებები გვიხატავდნენ.

უმთავრესი გმირი პიესისა, ჩვენის აზრით, დარეჯანია. მთელი ტრაგიზმი იმისმა დაუცხრომელმა ბუნებამ წარმოშობა. ყველანი, თვით ლევანიც, სათამაშო ბურთებად გადაქცეულან იმის ხელში. ორი რამ ახასიათებს დარეჯანს: უზომო ვნებათა-ღელვა, გრძნობიერება და უფლება-ბატონობის მოყვარეობა. დარეჯანს უნდა დაიმორჩილოს არა მარტო სამთავროს უპირველესს კაცის გული, არამედ მისი ტახტიც. ამისთვის იგი არაფერს არ ერიდება. ბოლო მოქმედებაში დარეჯანი ამბობს, მე მარტო სიყვარული მამოქმედებდა და მას შევსწირე ყოველიფერო. ეს მართალი არ არის: ყველაფრიდანა სჩანს, რომ დარეჯანი ერთნაირად ელტვის როგორც სიყვარულს, ისე ბატონობის მოპოვებას. ზემოდ უკვე ვთქვით, რომ დარეჯანის ბუნების ეს ელემენტები პირველ მოქმედებაშივეა ჩასახული. ჩვენ ს აზრით, ავტორს დარეჯანი დრამის ცენტრალურ ფიგურად უნდა გადაექცია და სავსებით განევითარა მისი ბუნების ზემოხსენებული ელემენტები. დარეჯანს თითქმის ყველა მოქმედებაში ვხედავთ, ბევრსაც ლაპარაკობს, მაგრამ არც ერთი ისეთი ადგილი არ არის დრამაში, სადაც დარეჯანს შეეძლოს მთელის თავის სიდიადით წარმოგვიდგეს თვალ-წინ. ბოლო მოქმედებაში დარეჯანი სინანულშივარდება — მონასტერში უნდა წავიდე და მოვინანიო ცოდვებიო. წარმოუდგენელია დარეჯანისთანა, კაცა სინანულს მიეცეს. თითონაც აცხადებს, საბოდიშოდ არ ვამბობ ამასაო, მაგრამ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება სიტყვას. დარეჯანისებური ადამიანი მიაღწევს საწადელს, თუ არა და თავს მოიკლავს ან სხვას მოეკვლევინება და არჩეულ გზას-კი არ გადაუხვევს. აქ კი ცოდვების მონანიებაზე ფიქრობს და თუმცა ჰკლავს ლევანი, მაგრამ ეს დარეჯანის სხვაგვარ საქციელით არის გამოწვეული.

მეორე გმირი დრამისა ლევანი უფრო სავსებით არის დახასიათებული. ლევანი ტიპიური ნევრასტენიკია. მას სრულებით არა აქვს ხასიათის სიმტკიცე, არა აქვს საკუთარი ნება. მას წამ და უწუმ ეცვლება გუნების განწყობილება. ლევანი ერთსა და იმავე დროს ჭკვიანიც არის და სულელიც. ხან და ხან სულ უბრალო გარემოებაში იბნევა და ჰკარგავს ჭკუას. ლევანი სინიდისიერიც არის და უსინიდისოც; გულ-ჩვილი ადამიანიც არის და ბოროტიც, სასტიკი დესპოტიც. ლევანს სუსტი ნერვების სისტემა აქვს. თუ გნებავთ ლევანი იგივე ერეკლეა („ღალატიდან“). ლევანი ერეკლეს ტიპის განვითარებაა. როგორც ერეკლე, ლევანიც დეგენერატია. ერთი ცბიერი სიტყვა სრულიად უცვლის გადაწყვეტილებას, ერთი შეხედვა და მოხვევა დარეჯანისა ჭკუიდანა შლის და ათას რამეს ადენინებს.

ასეთია ლევანი, მაგრამ ბოლო აქაც შეუფერებელია. ლევანი წუთის კაცია. სცდებოდა და ბევრს უსამართლობას სჩადიოდა. განდევნა ცოლი, იმიტომ რომ მოღალატე ეგონა იგი, ენდობოდა დარეჯანს, იმიტომ რომ, სიყვარულის გარდა, ანგელოზად მიაჩნდა. მაგრამ ამ გვარი კაცი, თვალების ახელისათანავე, მსწრაფლ შურს იძიებს ან სიცოცხლეს ისპობს. ასე იქცევა ერეკლე, ასევე უნდა იქცეოდეს ლევანი. ლევანი იგებს ყველაფერს, იგებს დარეჯანის გაიძვერაობას, მის დაუნდობლობას, მაგრამ, შურის-ძიების ნაცვლად, მასვე ემუდარება და ეხვეწება — კვლავ ვიცხოვროთ ერთადაო. ეს სრულებით არ შეეფერება ლევანის ხასიათს. ჩვენის აზრით, დრამა მეოთხე მოქმედებაშივე უნდა თავდებოდეს. მას შემდეგ, როცა დარეჯანი მანუჩარსა სწამლავს, ლევანისთვის ყველაფერი აშკარა უნდა იყოს და ყოყმანსაც ბოლო უნდა მოეღოს.

ყველა დანარჩენი მოქმედი პირი დრამისა, პაატა წულუკიძის გარდა, მკრთალად არის დასურათებული. თითქოს ცოცხალ კაცებს არა ჰგვანან. ასეთები არიან დედოფალი ნინო, მარიამი, სვიმონ და ქაიხოსრო გურიელები და სხვანი.

პიესის დასადგმელად ბევრი შრომა და მეცადინეობა გასწიეს და ბლომა ფულიც დახარჯეს. დაახატვინეს ახალი დეკორაციები და შეაკერინეს ახალი ტანისამოსი. ამიტომ წარმოდგენაც იშვიათი გამოვიდა. ერთმა რუსულ გაზეთის რეცენზენტმა უსაყვედურა დრამატ. საზოგადოების გამგეობას — ასეთ უშინაარსო პიესაზე ამდენი ფულის დახარჯვა დანაშაულობააო. უსაფუძვლო საყვედურია. პიესისთვის კი არა, გარდერობისთვის და თეატრისთვის დახარჯაგა მგონიმ ფული. ახალი ტანისამოსი და დეკორაციები მუდამ საჭიროა. წელიწადში ათჯერ მაინცა სდგამენ ისტორიულ პიესებს და ტანისამოსი კი არ გააჩნიათ...

მეორე რეცენზენტმა ავტორს შენიშნა — ენა თუმცა კარგია, მაგრამ ბიბლიურ დიალექტის იერი აქვსო. რეცენზენტი ალბად მწყრალადაა ბრძანდება ქართულ ენასთან, თორემ ასეთ შენიშვნას არ მისცემდა ავტორს. დრამის უდიდეს ღირსებას სამაგალითო ენა შეადგენს. ეს ენა წმინდა, მარტივი და უბრალოა, მაგრამ ჩვენ ყველანი შეჩვეულნი ვართ რუსულ წყობას და გვეხამუშება ასეთი წმინდა ქართული.

რეცენზია გაგვიგრძელდა და მოთამაშეებზე ბევრ ვეღარაფერს ვიტყვით.

პიესა საერთოდ კარგად იყო დადგმული და რეჟისორს დიდი შრომისთვის მადლობის მეტი არაფერი ეთქმის. ყველა პიესაზე რომ ასე სცდილობდნენ, ხალხიც არ მოერიდებოდა ქართულ თეატრს.

მოთამაშეთა შორის ყველაზე მეტად კერძოდ ჩვენ კ. მესხი (პაატა) მოგვეწონა. ყოველ იმის სიტყვასა და მოქმედებას გაიძვერაობის და პირფერობის ბეჭედი ესვა, რაც დამახასიათებელია პაატასთვის. ოდნავ აკლდა მესხს-პაატას დარბაისლობა.

მესხიშვილმა პირველადვე სწორი ტონი აიღო და თავშივე გაგვაცნო ლევანის ხასიათი. მარტო სასახლეში შემოსვლა რათ ღირდა! ეს შემოსვლა რაღაც არა ბუნებრივი იყო, რომ ამ გვარად შემოსვლა და სიარული მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელსაც ნერვების სისტემაში ჰარმონია აქვს დარღვეული. კარგი იყო მესხიშვილი შემდეგ მოქმედებებშიაც. მშვენივრად დაგვიხატა მსახიობმა ის ხშირი ცვლილება გუნების განწყობილებისა, რომელიც ასე დამახასიათებელია ლევანისა. უფრო სუსტი იყო უკანასკნელ მოქმედებაში. სავსებით ვეღ გადმოგვცა სულის და გულის ის აფორიაქება, რომელზედაც ლაპარაკობს ლევანი. ბოლოს და ბოლოს აშკარად დაეტყო მსახიობს დაღლილობა, — დიდმა პიესამ და როლმა მოჰქანცა.

დარეჯანის როლი არ შეეფერება ჩხეიძის ასულის ნიჭს, იმის ნაზ ბუნებას, ტკბილ ხმას. ჩხეიძემ, როგორც ეს კიტა აბაშიძემ თავის ფელეტონში აღნიშნა, გააკეთილშობილა დარეჯანი და იმის სისასტიკეს, გაიძვერაობას ლმობიერის ზეწარი გადააფარა.

სუსტი იყო კ. ყიფიანი გიორგის როლში. სუსტები იყვნენ დანარჩენ დიდი როლების აღმსრულებელნიც. ეს სისუსტე ავტორის ბრალიც არის, რადგან, როგორც ზევიდაც აღვნიშნეთ, მომქმედნი პირნი ცოცხალ არსებებს ნაკლებადა ჰგვანან და მსახიობებს გასაქანი არა აქვთ.

ხალხი ორივე წარმოდგენას ბლომად დაესწრო და ეს იმისი ნიშანია, რომ ჩვენი საზოგადოება მოწყურებულია ახალს და ორიგინალურს პიესებს.

—

**სახალხო თეატრი.** შაბათს ზუბალაშვილების სახალხო სახლში „წრის“ სცენის - მოყვარეებმა წარმოადგინეს ახალი დრამა „იმედის დალუპვა“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ჩვეულებისამებრ ბევრი დაესწრო.

**ქუთაისი.** 30 იანვარს ადგილობრივმა დასმა ა. იმედაშვილის საბენეფისოდ წარმოადგინა შექსპირის უკვდავი „ჰამლეტი“. დიდ შეცდომად უნდა ჩაეთვალოს როგორც რეჟისორის, ისე თვით მობენეფისესი ასეთ პიესის ამორჩევა. იმედაშვილი მეყაითი და ნიჭიერი მსახიობია, მაგრამ ჰამლეტის შემსრულებელი არა ჩვეულებრივი ზეგარდმო ნიჭით ცხებული, მასთან მეტად გამოცდილი და დახელოვნებული მსახიობი უნდა იყოს, რომ ზედმიწევნით შეგნებული ჰქონდეს ამ მეტად რთულ პიესის სიღრმე-სიდიადე, რომ სწვდებოდეს ყოველს მის მიმალულ კუნჭულს, რასაც უბრალო მომაკვდავის თვალი ვერა ჰხედავს, ყური ვერ ისმენს, გული ვერა გრძნობს. ამ შინაგან თვისებებთან ერთად მსახიობისთვის საჭიროა გარეგანი თვისებებიც. გარდა ამისა, დანარჩენი მსახიობნიც შეგნებულად უნდა თამაშობდნენ და ტიკინებივით არ უნდა იმეორებდნენ გაზეპირებულ სიტყვებს. სამწუხაროდ, ამ პირობათაგან თითქმის არც ერთი ხელს არ უწყობდა ბ-ნს იმედაშვილს და, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. სუსტი იყო თვით მობენეფისე, განსაკუთრებით პირველ სამს მოქმედებაში. რაღაც საოცარი, ებრაელის გრიმი ჰქონდა; თავი სცენაზე მეტად საწყლად ეჭირა; როლი თუმცა გაზეპირებული ჰქონდა, მაგრამ მეტად ჩქარობდა და შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა; როზენკრანცს რომ ელაპარაკებოდა, პირი გილდენსტერნისკენ ჰქონდა მიქცეული; ჰამლეტის აჩრდილს რომ მარცხნით ჰხედავდა და ელაპარაკებოდა, აჩრდილი მარჯვნიდან უპასუხებდა (აჩრდილი სცენაზე არ გამოჩენილა). არა უშავდა რა იმედაშვილს მეოთხე მოქმედებაში, სადაც ჰამლეტი ამხელს თავის დედას ქმრის მოკვლისა და სისხლის შერევისათვის, მაგრამ აქ მას ხელს ძლიერ უშლიდა ქილარჯი. შვილის ასული, რომელიც ძლიერ სუსტი გერტრუდა იყო. მოხდენილად ჩაატარა მეხუთე მოქმედების უკანასკნელი სურათიც.

დანარჩენ მსახიობთაგან მშვენივრად შეასრულა ოფელიას როლი დავითაშვილის ასულმა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. კარგი მესაფლავე იყო ბ-ნი გუნია. რიგიანად შეასრულა ლაერტის როლი ბ-ნმა მურუსიძემ. არა უშავდა ჰორაციოს როლში ბ-ნს ყალაბეგაშვილს. ძლიერ სუსტობდნენ კაროის კაცნი და დიდებულნი, რომელნიც სცენაზე თავის დაჭერასაც კი ვერ ახერხებდნენ. ამგვარივენი იყვნენ აქტიორებიც.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

31 იანვარს წარმოდგენილ იქმნა დ. კლდიაშვილის ცნობილი პიესა „ირინეს ბედნიერება“ და ვ. გუნიას კომედია „სიძე-სიმამრი“. ორივე პიესამ მეტად მხიარულად ჩაიარა. „ირინეს ბედნიერება“-ში ჩვეულებრივ შეუდარებელი იყო ვ. ბალანჩივაძე — ფილიპე ბარბაქაძე.

# სახალხო უნივერსიტეტი ქუთაისში

კვირას, 31 იანვარს, დაიწყო მოქმედება ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტმა. აურაცხელი ხალხი მიიზიდა შუადღისას ქალაქის თეატრმა. მრავალ ფეროვან ელემენტებისაგან შესდგებოდა ამ დღეს აუდიტორია. იყვნენ ისინი, ვისთვისაც სწორედ პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს ასეთი დაწესებულება. იყვნენ ისინიც, რომელნიც ცნობის მოყვარეობას უფრო განიცდიდნენ ამ კულტურულ ცდის მიმართ, და მარტოოდენ „კრიტიკის“ გუნებაზე იყვნენ. ასეთები არიან ჩვენი საზოგადოების ის ინტელიგენტები, რომელნიც ქართულ კალაპოტში ვითომ ვეღარ ეტევიან... ქართული ლექცია... ეს ხომ მათთვის ღიმილის მომგვრელი სიტყვებია. მთელის საათობით წმინდა ქართულის ენით საუბარი, ეს ხომ მთელი მათი მაღალ არსების და მაღალ ნიჭის ტანჯვა-წამება იქნება!..

დღევანდელ პირობებში ჩვენთვის სახალხო უნივერსიტეტი ჩვეულებრივზე უფრო მეტად სასიხარულო მოვლენაა. მისი გაძლიერება ხალხს მოუტანს აზრის განცხოველებას, გონების განსპეტაკებას, და მაგალითის ჩვენებით შესაძლებელია, ზოგიერთი დაკარგული შვილი, ისევ დაუბრუნდეს თავის ქვეყანას და თვისი ადამიანური მოვალეობა მოიხადოს სამშობლოსა და ქვეყნის წინაშე...

მცირე ჯგუფის ნატვრა აღსრულდა. მომავალ სახალხო მენობას საძირკველი უკვე ჩაეყარა. ვისურვოთ მალე აგებულიყოს მისი კედლებიც მტკიცე და სამკვიდრებელი.

კვირის ლექციებს წინ უძღოდა, სახ. უნივ. თავმჯდომარის ბ-ნ მოსე ქიქოძის დღის შესაფერი სიტყვა. ლექტორებად ამ დღეს გამოვიდა ორი — ბ-ნნი გრ. გიორგაძე და გრ. ნასარიძე. პირველმა გააცნო ხალხს სახალხო უნივერსიტეტის ისტორია საზღვარ-გარეთ, რუსეთში და ჩვენში. მეორემ იპაასა ჰიგიენიისა და ჰავის შესახებ.

აზრადა აქვთ ყოველ კვირაობით იმართებოდეს ლექციები. ადგილების ფასია — 5 — 30 კაპ.

# კალენდარი

თებერვალი 28 დღე

ახალი სტილით 17

**4**

მთვარე 7 დღისაა

35 დღე წლის თავიდან. რჩება 330 დღე

## ხუთშაბათი

**მართლმ.** ღირსისა მამ. ჩვენისა ისიდორე პილისუტელისა.

**კათოლ.** წმ. ანდრია ეპ. აღმსარებელისა.

**გრიგორ.** წმ. სუფიასი და ასულთა მისთა პისტისა, ელპიდისა და აგაპისა.


# ახალი რამ!!!

**ჯიბის საათი მუდმივ კალენდრით**



ეს საათი უჩვენებს დღეს, რიცხვს და თვეს. ღამის ყოველ 12 საათზე ისრები ავტომატიურად გადაჰხტებიან ხოლმე, და უჩვენებენ მომავალ დღეს და რიცხვს. ამას გარდა, ეს საათი ნამდვილი „ანკერია“, სიარული 15 ქვ., მაგი ფოლადისაა, მომართვა 40 საათში ერთხელ. ხწორედ დაღის ფასი მხოლოდ 4 მ 50 კ., 2 ცალი — 8 მ. 50 კ. იგზავნება ფას-დადებით უბეღდ 6 წლის პასუხის-მგებლობით გაგზავნა 4 ცალი 40 კაპ. (ციმბირში 75 კაპ.) **ჩვენი რჩევა:** ნუ გამოუდგებით იაფ-ფასიან საათებს და მუდამ ჩვენი მადლიერი იქნებით. მოდის ძეწკვი ახალ ნამდ. ოქროსი, საუცხოვო 75 კ. და 1 მ. 50 კ., ორ მაგი — 2 მ. 50 კ. და 3 მ 50 კ. ადრესი:

Варшава. Отдѣл. Т-во Аккуратность. 7.

გთხოვთ, ადრესი ამოსჭრათ და მაგრა დააკარით კონვერტზე

(Метцль и Ко N 3624) (4—6—3)

◀ ქუთაისში ქირავდება ▶

# სიცოცხლის წყაროს

რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გაქირავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზოში, ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ.—2)

# სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო-ეგუროული“ ქუთაისში.

● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—22)

# პროვოდნიკის

1897 წ. 1888 1908 წ.

# ამხანაგობა

## რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნარდად და ცალობით:** ●

რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,

რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუვეტებები,

რეზის ხალიჩები და ებონიტის ნაწარმოები,

იზოლაციონი და საკაბელი კუთვნილებები,

რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,

რეზინის სათამაშოები და ბურთები,

რეზინის საგალანტერიო საქონელი,

საშხელი რეზინი „სპორტ“ მარკისა